პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი № 185 (13579) | სამშაბათი, 16 აგვისტო, 1966 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ № 1 ტრესტის კოლექტივს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მსურვალედ ულოცავენ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ № 1 ტრესტის კოლექტივს მთავრობის საპატიო ჯილდოს — ლენინის ორდენს, რომლითაც აღინიშნა ტრესტის დიდი წვლილი რესპუბლიკის მეტალურგიული, ქიმიური და მრეწველობის სხვა უმნიშვნელოვანესი დარგების განვითარებაში.

გამოვთქვამთ მტკიცე რწმენას, რომ რუსთაველ მშენებელთა სახელოვანი კოლექტივი მოიპოვებს ახალ შრომითს გამარჯვებებს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

სკუდენჯი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება სტუდენტი ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის შესახებ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ უკანასკნელ წლებში უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების სპორტულმა ორგანიზაციებმა, სტუდენტთა ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებამ „ჭარიშხალამ“ რამდენადმე გააუმჯობესეს მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდისა და სპორტული მომზადების საქმე.

აბასთან რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის დაყენების საქმეში არსებითი ნაკლოვანებანია. შეტნილ უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში არ სრულდება მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის სახელმწიფო პროგრამა. ფიზიკურ კულტურასა და სპორტში ჩაბმულია სტუდენტთა უმნიშვნელო რაოდენობა. რესპუბლიკის წამყვანი უმაღლესი სასწავლებლების ბაზებში დღემდე ჯერ კიდევ შექმნილი არ არის სპორტული ოსტატობის ამაღლების გაერთიანებული ჯგუფები. მთელ რიგ უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში წლიდან წლამდე ვერ სრულდება მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადების გეგმა. უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, საშუალო სპეციალური სასწავლებლების დირექტორები, აგრეთვე პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, ადგილმარჯვი პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები არ ახორციელებენ ჯეროვან ღონისძიებებს სასპორტო ნაგებობათა ქსელის მშენებლობისა და გაფართოებისთვის.

ყველა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებელში მოსწავლე სპორტსმენებს როდი აქვთ შექმნილი საჭირო პირობები იმისათვის, რომ წარმატებით შეუფამონ სწავლა სპორტში მეცადინეობას. ჯერ კიდევ ხუთჯერ ბორიკალდება სამედიცინო კონტროლი ახვადასხვა სპორტულ სექციებსა და განყოფილებაში ჩაბმულ მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის.

რესპუბლიკური პროფკავშირული ორგანიზაციები, სამინისტროები და უწყებანი, რომელთა სისტემაში შედიან უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, არ უწევენ მათ საჭირო დახმარებას მასობრივი ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის ორგანიზაციაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს კომპარტიის საოლქო კომიტეტებს, საქალაქო კომიტეტებსა და რაიკომებს, აიხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს წინადადება მისცეს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში და უზრუნველყონ, რომ ამ სასწავლებლებმა შეასრულონ ფიზიკური აღზრდისა და მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადების სახელმწიფო პროგრამა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კავშირის, საქართველოს ალკა ცენტრალურ კომიტეტსა და პროფსაბჭოს, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთა კბილებობაზია უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები, საქართველოს სტუდენტთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „ჭარიშხალას“ საბჭოს დაავალეს გადაწყვეტა გაუმჯობესონ უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა, კიდევ უფრო აამაღლონ მოსწავლეთა სპორტსმენებთან. წინადადება მიეცა მათ გადასინჯონ და უმაღლესი სასწავლებლების სპორტულ ხელმძღვანელებს მიმაგრონ საუკეთესო მწვრთნელ-მასწავლებელთა კადრები, სასპორტო ბაზები, გამოუყონ მათ სარისხოვანი სპორტული ინვენტარი და მოწყობილობა. მათ დაევალათ აგრეთვე გაუმჯობესონ სასწავლებელთა სასპორტო ბაზების მოწყობა, პრაქტიკაში ფართოდ დანერგონ სასპორტო ნაგებობათა მშენებლობა თვით მოსწავლეთა ძალებით. უმაღლესი სასწავლებლებისა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების ახალი შენობების მშენებლობისა და არსებული შენობების გაფართოების დროს უნდა გავითვალისწინოთ სასპორტო ნაგებობანი მოსწავლეთა შორის სასწავლო მეცადინეობათა მოწყობისა და მათი სპორტული ოსტატობის ამაღლებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ წინადადება მისცეს საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური, განათლების, კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროებს ყოველწლიურად მოაწყონ სტუდენტთა რესპუბლიკური სასაფეხურო სპორტული ასპარეზობანი სულ ცოტა 20 სახეობის სპორტში, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის პროგრამაში შედის. ამ მიზნით წინადადება მიეცა მათ გაითვალისწინონ 18 დღემდე ხანგრძლივობის, საწვრთნელ შეკრებათა მოწყობის ხარჯები, რათა უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების სპორტული გუნდები მოამზადონ სსრ კავშირის, სამინისტროების, სტუდენტთა ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოება „ჭარიშხალას“ ცენტრალური და რესპუბლიკური საბჭოების პირველობაში, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელთა შორის მატჩ-შეხვედრებში მონაწილეობისათვის; მოსწავლე სპორტსმენებს. ნიკერები გუნდების წევრებს შეუქმნან საჭირო პირობები იმისათვის, რომ წარმატებით შეუფამონ სწავლა საწვრთნელ მეცადინეობას და ხარისხოვნად მომზადებას სპორტული ასპარეზობისათვის. რისთვისაც მოსწავლე სპორტსმენები გადაიყვანონ სწავლებისა და გამოცდების ჩაბარების ინდივიდუალურ გრაფიკზე სტიპენდიის შენარჩუნებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს დაავალეს:

1966 წლის ბოლომდე დაამთავროს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხაცურაოს აუზის ხელახლა მოწყობა;

გაუმჯობესოს სპორტულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობა თბილისის სტუდენტთა ქალაქში;

საქართველოს პროფსაბჭოს წინადადება მიეცა განიხილოს საკითხი საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთათვის **1967** წელს კომპლექსური სპორტული ოლიმპიადა ჩატარების შესახებ.

1966 წლის **1** ოქტომბრამდე დაამთავროს სტუდენტთა ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოების „ჭარიშხალას“ ბაკურიანის სამთო-სათხილამურო ბაზის რემონტი და რეკონსტრუქცია.

განათლების, უმაღლესი სკოლებისა და ხალხეკონომიურ დაწესებულებათა, სოფლის მეურნეობისა და მედიცინის მუშაკთა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირებმა რესპუბლიკურ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროფკავშირთა საოლქო საბჭოებს, განათლებისა, უმაღლესი სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ქუთაისის, გორისა და თელავის ბიუროებს, ოლქის კომიტეტებს დაეკალათ გააძლიერონ კონტროლი და ხელმძღვანელობა უმაღლეს სასწავლებლებში სპორტული საქმიანობისადმი, გაუფდონ მათ ასიგნებანი სპორტული მუშაობისთვის.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაევალა რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლები უზრუნველყოს საჭირო სამკურნალო-სამედიცინო პერსონალით იმ სტუდენტებისადმი ხათანადო სამედიცინო კონტროლის განხორციელებისათვის, რომლებიც ფიზიკურ კულტურასა და სპორტს ეწევიან, და სუსტი ჯანმრთელობის მოსწავლეთა ფიზიკური მომზადების სპეციალურ მეცადინეობათა მოწყობისათვის.

(საქმენი)

ხუთწლეულის ფლეგმაში

8 თვის გეგმა შესრულებულია

მაიაკოვსკის საკონსერვო ქარხანამ უკვე გამოუშვა 1.302 ათასი პირობითი ქილა კონსერვი და რვა თვის გეგმა გაანადგა.

ქარხნის კოლექტივი, რომელმაც წარმატებით ათვისა შვიდი ახალი სახეობის პროდუქციის წარმოება, იბრძვის იმისათვის, რომ ნაცვლად დაგეგმილი 2 მილიონ 500 ათასისა სამშობლოს მიახცეს 25 სახეობის 3 მილიონი პირობითი ქილა კონსერვი. წინა წელთან შედარებით პროდუქციის თვითღირებულება შეამციროს 15 პროცენტით.

ბ. მუსავანაძე

623 ათასი მანეთით მეტი

** კუთაისი.** (საკ. კორ.). ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივმა, რომელიც ხუთწლედის დაადგენილებულ რიტმულად და გამართულად მუშაობს, ვადამდე შეასრულა შვიდი თვის დავალება და სამშობლოს მისცა 623 ათასი მანეთის ზედგებმული პროდუქცია.

ელექტრომექანიკოსებმა მიმართულებად გააღიდეს შრომის ნაყოფიერება, ხოლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზით დამატებით დაზოგეს 25 ათასი მანეთი.

განვლილ პერიოდში ქარხანამ ასორტიმენტისა და ნომენკლატურის მატებასთან ერთად ნომენკლატურის დაკალათ იმუშავა, დავალების ზევით გამოუშვა 12 ცალი მსხვილი ელექტრომანქანა, 5 ცალი წყალსატუმბავები, აგრეთვე 36 ათასი მანეთის საათადარიგო ნაწილები.

ლაგოდეხელების

ლაგოდეხი. (საკ. კორ.). ლაგოდეხის ხაფერმენტაციო ქარხნის კოლექტივი დღითიდღე ამარჯვებს წარმატებებს. ქარხანამ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გეგმის ზეგით დიდძალი პროდუქცია გამოუშვა. მკვეთრად გააუმჯობესა ხარისხი. მოგების დაგალება გადაჭარბებით გაანადგა. ამ და სხვა წარმატებებისათვის ქარხნის კოლექტივს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა მიეკუთვნა.

გარდამავალი დროშის გადაცემისას, რაც საზეიმო ვითარებაში მოხდა, ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლიური საწარმოო დავალება 15 დეკემბრისათვის შეასრულოს.

გვალელ მეჩაიეთა წარმატება

ჩაი წამყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა გალის რაიონში. მის წარმოებაზე ძირითადად დამოკიდებულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის ძლიერება. რაიონის მეჩაიეებმა წარმატებით დაამთავრეს შვიდწლედი და წელს ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში წალენჯიხისა და ოჩამჩირის რაიონების მშრომელებთან. გალელმა მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს ვადაზე ადრე შეასრულონ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების მიმდინარე წლის დავალება.

თვადადგილური და შემომქმედებითი შრომის შედეგად რაიონის მეჩაიეებმა 15 აგვისტოსათვის, ვადაზე თვენახევრით ადრე, შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. სამშობლომ მიიღო 17.078 ტონა ჩაის ნედლეული ნაცვლად 17.075 ტონისა. ეს 6.323 ტონით მეტია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში იყო მოკრეფილი. სამეურნეო ჰექტარზე მიღებულ იქნა 3.500 კილოგრამი ფოთოლი, შარშან კი სეზონის ბოლოსათვის ჩაის საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე მხოლოდ 2.800 კილოგრამი შეადგინა.

ამ ამოცანის შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი მუხურის ჯგუფურის სახელობის, შემელედის, ოქტომბრის, ნაბიკვრის, წარჩის, ბუდაგის, პირველი გალის კოლმეურნეობების, გალის, მზიურისა და კობრის საბჭოთა მეურნეობების მეჩაიეებმა. მათ დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალებები და ნაკისრი ვალდებულებანი.

წარმატებით გაანაღდა წლიური დავალება რაიონის მეჩაიეობის უმსხვილესმა მეურნეობამ — აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ, რომელმაც სახელმწიფოს ჩააბარა 2.800 ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის მუწვანე ფოთოლი.

მოკრეფილი ფოთლის ხარისხის მიხედვით საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწიენ მუხურის, ბუდაგის, განახლების, პირველი გალის კოლმეურნეობებმა, გალის და მზიურის ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ ინერგება მოწინავეთა გამოცდილება და მეცნიერების მიღწევები. მაგალითად, ნაყოფიერ საქმიანობას ეწევა ჯგუფურის სახელობის კოლმეურნეობაში მეჩაქნილი მოწინავე გამოცდილების სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობენ მეჩაიე, შრომის წითელი დროშის ორდენოსანი, კომუნისტი ზოია ბულისკერია ხელმძღვანელობს.

ძნელია ყველა მოწინავე მეჩაიეს დასახელება. მათ შორის არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლუსია ბამსახურდია, ციალა არდია, ქაქა რიბგაპეა, თამელა ზაბლაპა, ჭანია კოკაია, ზოია ბამსახურდია, თინა ბოგოხია, ციალა მარხულია და მრავალი სხვა. თვითეულს მოკრეფილი აქვს 6-7 ტონა „მწვანე ოქრო“.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობის ჩაის პლანტაციებში პირველად გამოჩნდნენ მეჩაიეთა შესანიშნავი თანაშემწეები — ჩაის ხაკრეფი მანქანები. ბევრი მექანიზატორი დღიურ დავალებებს 200-300 პროცენტით ასრულებს. განსაკუთრებით დაწინაურდნენ მექანიზატორები. ხუმა ხასაიმ მანქანით მოკრიფა 28 ტონა ფოთოლი, შალვა ფეიქუშა — 22 ტონა, სლამიკ მასაშვილმა — 20 ტონა. მოწინავეთა რიგებში არიან ეფროსინ ძანდარია, ბენო შარია, ონორ შამფუნია და სხვები.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ მაქსიმალურად ვიყენებთ ჩაის მექანიზებული კრეფის შესაძლებლობებს. წელს ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ ემსახურება კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების 351 ჰექტარ პლანტაციებს. ამ ფართობებზე გათვალისწინებულია მანქანებით მოიკრიფოს 800 ტონა ჩაის ფოთოლი, მაგრამ დღეისათვის მოკრეფილია მხოლოდ 358 ტონა. მომავალი წლისათვის გათვალისწინებული გვაქვს მექანიზაციისათვის დამატებით მოვამზადოთ 214 ჰექტარი პლანტაცია და მეფეურად გავადიდოთ ჩაის ხაკრეფი მანქანების წარმადობა.

ჩაის მოსავლიანობის ზრდის ხაქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პლანტაციების სიმეჩხერის ლიკვიდაციას. ამ მიზნით გათვალისწინებული გვაქვს 1966-1967 წლებში რაიონის კოლმეურნეობებში მოვაწყოთ ჩაის სანერგეები და უახლოეს წლებში აღმოვფხვრათ სიმეჩხერე.

ხუთწლედში გათვალისწინებულია გალის რაიონში ამოვაშროთ 15 ათასი ჰექტარამდე ჭარბტენიანი ნაფოფიერი მიწები. ამ ფართობების ბაზაზე შეიქმნება რამდენიმე ჩაის მეურნეობა. ამჟამად რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ირწყვება. 259 ჰექტარი ჩაის პლანტაციები. ხუთწლედის განმავლობაში სარწყავი პლანტაციების ფართობი 1.000 ჰექტარით გადიდდება.

რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები, ყველა მეჩაიე თავდადებით იბრძვიან იმისათვის, რომ ჩაის ფოთლის კრეფის სეზონის დამთავრებამდე გეგმის ვადამეტებით მისცეს სამშობლოს 1.500 ტონა ჩაის ნედლეული.

ამ სურათზე (ზემოთ) აღბეჭდილია კომკავშირელი ლელა ტაბაღუა, რომელიც მუშაობს აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. ეგი დღეში 40-50 კილოგრამ ჩაის ფოთოლს კრეფს. მარცხნივ სურათზე თქვენ ხედავთ სოფელ ბუბურხანაურის კოლმეურნეობის მოწინავე მკრეფავს **ნათელა ცხვირაშვილს.** ეს მეჩაიე ჩაის ფოთლის კრეფის ყოველდღიურ დავალებას 140-150 პროცენტით ასრულებს. სურათზე მარჯვნივ აღბეჭდილია სოფელ თაგლონის ულანოვის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავე მეჩაიე, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ი. ა. ხალუკვაძე, ნ. ა. ფეანია, ე. მ. ჭაფარიძე, ლ. ა. ხაყვარელიძე, მ. ე. თოფურიძე, თ. ი. მოსაშვილი, კ. კ. გარდაფხაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე, კ. ნ. ლომაშვილი, საქართველოს დედაქალაქის ხაზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

დელეგაციაში, რომელსაც სენატის — ირანის პარლამენტის ზედა палატის თავმჯდომარე შარიფ-ემამი მეთაურობს, არიან სენატორი, გენერალი ჯაჰანბანანი, სენატორები ნური ესფენდიარი და ქალბატონი მოსახეები, მეჭლასის დეპუტატები სადეგ ამმედი, ხეიდ ალი ხაიები, დოქტორი რამაზანი, დოქტორი ეტემადი, ინჟინერი ბორუმანდი, რაჰიმ ზამთაბფარდი, მუსავი მაკუი და ჰაბიბი.

ხაბჭოთა კავშირში მოგზაურობისან დელეგაციას ახლავან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ი. ი. პალეციისი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ ირანელმა პარლამენტარებმა დაათვალიერეს საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი. ისინი იყვნენ ვაკისა და ხაბურთალის ახალშენებათა რაიონებში, სპორტის სახახლეში. (საქმენი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მცხოვრები მრავალშვილიანი დედებისათვის „ბმირი დედის“ საპატიო ორდენის მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „ბმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „ბმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დედებს, რომლებმაც შობეს და აღზრდეს ათი შვილი:

1. ბარამიძეს მერიბე სულეიმანის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქედის რაიონის სოფელ წონდარისი.
2. ბენიას ფეფელი ილიას ასულს — კოლმეურნეობა „კოლხეთის“ კოლმეურნეს, აფხაზეთის ასსრ გალის რაიონი.
3. ქუშებიანს ვართუქა მანაცაგანის ასულს — მ. კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრს, აფხაზეთის ასსრ გალის რაიონი.
4. კირკიტაძეს მერიერმ მემედის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ბათუმის რაიონის სოფელი ჩაქვნები.
5. თამაზაშვილს შუშანა კოკორის ასულს — კოლმეურნეს, ასპინძის რაიონის სოფელ ვარგავი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **მ. ბიორბაძე.**

მოსკოვი, კრემლი.

1966 წლის **12** აგვისტო.

ჯილდოები — გამარჯვებულთ

მოსკოვიდან კვლავ მოდის ცნობები **1966** წლის მეორე კვარტალის ხრულად ხაკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შესახებ.

სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროსა და ხე-ტყის, ქაღალდისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია მიიღო ახალდაბის ავეჯის ფაბრიკის კოლექტივმა.

სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს კოლეგიისა და ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით შეხვედრ ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის, თბილისის ქარხანა „ელექტროძრავის“ და ახალციხის ქარხანა „ელექტროძრავის“ კოლექტივები. (საქმენი).

სამტრედიელთა ნოგათი

სამტრედია. („კომუნისტის კორ.). რაიონის მეჩაიეებმა ნედლეულ ფოთლად ინმარეს. ამ ამოცანის **18** აგვისტოსათვის **100.5** პროცენტით შეასრულეს ჩაის კრეფის წლიური გეგმა. მოკრეფილია 1.227 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ნაცვლად 1.220 ტონისა. შესრულებულია აგრეთვე კურკოვანი ხილის დამზადების გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 2.980 ტონა ხილი, ანუ გეგმა შესრულდა 122,6 პროცენტით, დაფის ფოთლის მიყიდვის გეგმა შესრულებულია 119,3 პროცენტით.

სამტრედიელებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 100 ტონა ჩაის ფოთოლი, 150 ტონა ხილი.

ირანის პარლამენტარები საქართველოში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით საბჭოთა კავშირში იმყოფება ირანის პარლამენტის დელეგაცია სენატის თავმჯდომარის შარიფ-ემამის მეთაურობით. 15 აგვისტოს ნაშუადღევს მეზობელი ქვეყნის პარლამენტარები ლენინგრადიდან თბილისს ჩამოვიდნენ.

ირანის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით მორთულ თბილისის აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე რ. რ. დვალი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი გ. გ. აბაშიძე, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ე. ა. ხალუკვაძე, ნ. ა. ფეანია, ე. მ. ჭაფარიძე, ლ. ა. ხაყვარელიძე, მ. ე. თოფურიძე, თ. ი. მოსაშვილი, კ. კ. გარდაფხაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე, კ. ნ. ლომაშვილი, საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

დელეგაციაში, რომელსაც სენატის — ირანის პარლამენტის ზედა პალატის თავმჯდომარე შარიფ-ემამი მეთაურობს, არიან სენატორი, გენერალი ჯაჰანბანანი, სენატორები ნური ესფენდიარი და ქალბატონი მოსახეები, მეჭლასის დეპუტატები სადეგ ამმედი, ხეიდ ალი ხაიები, დოქტორი რამაზანი, დოქტორი ეტემადი, ინჟინერი ბორუმანდი, რაჰიმ ზამთაბფარდი, მუსავი მაკუი და ჰაბიბი.

ხაბჭოთა კავშირში მოგზაურობისან დელეგაციას ახლავან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ი. ი. პალეციისი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ ირანელმა პარლამენტარებმა დაათვალიერეს საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობანი. ისინი იყვნენ ვაკისა და ხაბურთალის ახალშენებათა რაიონებში, სპორტის სახახლეში. (საქმენი).

ბაკურიანი

ბაკურიანი

ბაკურიანი. (საკ. კორ.). ბაკურიანის ბალნეოლოგიური კურორტი ბოლო ხანებში ფართოდ ეფინა ბაკურიანელ ბავშვებს. ბაკურიანელ ბავშვებს

ნ. ჩაუშესკუს გამოსვლა

ბუქარესტი, 13 აგვისტო. (საკდესი). გუშინ რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიულ და სახელმწიფო ხელმძღვანელმა მურეშ-უნგრეთის ავტონომიურ ოლქში მოგზაურობის დროს საოლქო ცენტრ ქალაქ ტირგუმურეშში გაიმართა დიდი მიტინგი.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნ. ჩაუშესკუმ, რომელმაც ილაპარაკა იმ წარმატებებზე, რომელიც მურეშ-უნგრეთის ავტონომიური ოლქის მშრომელებმა მოიპოვეს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ თავიანთი შრომით ისინი ხელს უწყობენ მთელი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, სოციალისტური სამშობლოს გაძლიერებას. „ვაშენებთ რა სოციალიზმს, ვამაღლებთ ხალხის ცხოვრების დონეს, თქვა ნ. ჩაუშესკუმ, წვლილი შეგვაქვს მთელი მსოფლიოს სოციალისტური სისტემის, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ძლიერებისა და ერთობის განმტკიცებაში.

როცა იმპერიალისტები მიმართავენ აგრესიულ მოქმედებას, ხაზგასმით აღნიშნა ნ. ჩაუშესკუმ, მით უფრო საჭიროა ყველაფერი ვიღონოთ, რომ ჩვენი წვლილი შევიტანოთ სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური მოძრაობის, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთობის განმტკიცებაში.

ნ. ჩაუშესკუმ თქვა, რომ ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე მიღებული დოკუმენტები ასახავენ რუმინეთისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების პოზიციებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ დოკუმენტებს, საერთაშორისო მდგომარეობის ყველაზე აქტუალურ საკითხებში. მან აღნიშნა, რომ ახლანდელ პირობებში დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორუფლებიანობის პრინციპების საფუძველზე შეიძლება დამყარდეს ახალი ურთიერთობა ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის, უზრუნველყოფილ იქნეს მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

უველაფერს ვიღონებთ, რომ მხარი დავუჭიროთ და უზრუნველვყოთ ამ პრინციპების გამარჯვება, ხაზგასმით აღნიშნა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტის გენერალურმა მდივანმა.

ბუქარესტი, 15 აგვისტო. (საკდესი). რუმინეთის კომუნისტური პარტია და მთავრობა მთელ საქმიანობას ახმარენ სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის განმტკიცებას, სოციალისტური ქვეყნების, კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთობის, ყველა სახელმწიფოსთან თანამშრომლობის განმტკიცებას, როგორიც უნდა იყოს მათი საზოგადოებრივი წყობილება.

როგორც აკერპრესის საგენტო იუწყება, ეს განაცხადა რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ნიკოლაე ჩაუშესკუმ სიტყვაში, რომელიც წარმოთქვა კურორტ იზვორულ მურეშულიში, სადაც არდადეგებს ატარებენ რუმინელი სტუდენტები. ნ. ჩაუშესკუმ და რუმინეთის პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელებმა ეს კურორტი დაათვალიერეს მურეშ-უნგრეთის ავტონომიურ ოლქში მოგზაურობის დროს.

შემდეგ მიტინგი გაიმართა ღორხეეში, სადაც ჩავიდნენ რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები. აქ ნ. ჩაუშესკუმ ხაზგასმით აღნიშნა, კერძოდ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დოკუმენტებს, რომელიც ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე მიღებულ დოკუმენტები ასახავენ რუმინეთისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების პოზიციებს. რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ დოკუმენტებს, საერთაშორისო მდგომარეობის ყველაზე აქტუალურ საკითხებში. მან აღნიშნა, რომ ახლანდელ პირობებში დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, თანასწორუფლებიანობის პრინციპების საფუძველზე შეიძლება დამყარდეს ახალი ურთიერთობა ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის, უზრუნველყოფილ იქნეს მშვიდობა მთელ მსოფლიოში.

საერთაშორისო ცხოვრებიდან

ეროვნისა და სოლიდარობის სელისკენთებით

მონტევიდეო. (საკდესი). დამთავრდა ურუგვაის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობა.

საბოლოო სიტყვა წარმოთქვა ურუგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა როდნეი არიმენდმ.

ყრილობამ მიიღო რამდენიმე რეზოლუცია. საერთო რეზოლუციაში ხაზგასმულია, რომ უაღრესად საჭიროა განმტკიცდეს საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირება და ერთობა, და აღნიშნულია, რომ ამის საფუძველია კომუნისტური და მუშათა პარტიების 1957 და 1960 წლების თათბირების დოკუმენტები.

ყრილობამ აგრეთვე მიიღო რეზოლუციები, რომლებითაც სოლიდარობას უცხადებს ვიეტნამელ ხალხს, რევოლუციურ კუბას, ლათინური ამერიკის კომპარტიებს და ხალხებს ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში, და მთელი რიგი სხვა რეზოლუციები.

ყრილობამ აირჩია ურუგვაის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები. ურუგვაის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად კვლავ როდნეი არიმენდი აირჩიეს.

პეიაროლის სასახლეში გაიმართა მშრომელთა მასობრივი მიტინგი, რომელიც მიეძღვნა ყრილობის მუშაობის დამთავრებას.

რადჰაკრიშნანის სიტყვა

დელი, 15 აგვისტო. (საკდესი). ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ს. რადჰაკრიშნანმა გუშინ ინდოეთის დამოუკიდებლობის 19 წლისთავის დღესასწაულის წინ სრულიად ინდოეთის რადიოთი მიმართა ერს, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ უველა ქვეყნის ხალხებს უნდათ მშვიდობა, და განაცხადა: ატომურ და ბაქტერიოლოგიურ ომს მოჰყვება უდიდესი უბედურება მთელი კაცობრიობისათვის.

„ინდოეთი, — თქვა მან, — დიდად შეაშფოთა იმ საშინელებამ და სისასტიკემ, რაც ომს მოსდევს, ვიეტნამელი ხალხის ტანჯვამ. დიდად აწუხებს კონფლიქტის შემდგომი გაფართოებების შესაძლებლობა და საშიშროება, რომ იგი მსოფლიო ხანძრად გადაიქცევა. ამიტომ ინდოეთმა წამოაყენა წინადადებანი ვიეტნამის კონფლიქტის დეესკალაციის შესახებ, რომელიც საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პირველი ღონისძიება იქნება.

ჩვენ, განაგრძო რადჰაკრიშნანმა, უნდა ვეცადოთ შეგობრობას ყველა ხალხთან და კეთილშობილური ურთიერთობის დამყარებას პაკისტანთან და ჩინეთთან... მეგობრული ურთიერთობის დამყარება პაკისტანთან, აღნიშნა პრეზიდენტმა, ძნელი საქმე როდია, რადგან ეთნიკურად ისეთი ხალხი ვართ, რომელსაც საერთო კულტურა და ისტორია აქვს.

რადჰაკრიშნანმა აღნიშნა, რომ ტაშკენტში ნაკისრი ვალდებულებანი იმის შესახებ, რომ არ უნდა გამოვიყენოთ ძალა, არ უნდა ჩავერიოთ ერთმანეთის საშინაო საქმეებში, აღუკვეთოთ მტრული პროპაგანდა, ეხება ყველა პრობლემას, რომლებიც თიშავენ ინდოეთსა და პაკისტანს. თუ იქნება კეთილი ნება, განაგრძო მან, ახლავე შევძლებთ ვითანამშრომლოთ ლტოლვილთა, საზღვრების დაზუსტების, მდინარეთა წყლის რესურსების გამოყენების საკითხებსა და ვაჭრობაში. მაგრამ თუ გაუგებრობა გაგრძელდება და ჩვენ გავზრდით შეიარაღებას, ეს დაასუსტებს ორივე ქვეყანას და საშიში იქნება მათთვის. ჩინეთი და ინდოეთი, თქვა რადჰაკრიშნანმა, ადრე თუ გვიან ისწავლიან ცხოვრებას მშვიდობით და თანამშრომლობას. იმ პრობლემების სამართლიანი მოწესრიგება, რომლებიც ორ ქვეყანას თიშავს, შეუძლებელი არ არის.

რადჰაკრიშნანმა თავისი გამოსვლის დიდი ნაწილი მიუძღვნა საშინაო პრობლემებს, კერძოდ ეკონომიურ და სასურსათო მდგომარეობას, ინდოეთის საშინაო პოლიტიკურ ვითარებასა და მომავალ საყოველთაო არჩევნებს.

განგი — ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის დედაქალაქი. ახალი რაიონი, რომელიც უკანასკნელ წლებში შეიქმნა. საფრანგეთის ამ ყოფილი კოლონიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქალაქში დიდი ადმინისტრაციული და საბინაო მშენებლობა გაჩაღდა. ფოტო ცარ ინფორმაციის სამსახურის და საკდესისა.

საგჭოთა წიგნის გამოფენა

დელი. ინდოეთის დიდი დღესასწაულის — რესპუბლიკის დამოუკიდებლობის მე-19 წლისთავის წინ — დელში გაიხსნა საბჭოთა წიგნის, გრაფიკისა და პლაკატის გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილია 1.200-ზე მეტი წიგნი, პლაკატი და გრაფიკის ნაწარმოები. იყიდება საბჭოთა წიგნები. ექსპონირებული წიგნების ნახევარზე მეტი ინგლისურ ენაზე და ინდოეთის ხალხთა ენებზეა გამოცემული. (საკდესი).

დასავლეთგერმანელ ნეოკოლონიალისტთა ნარგზავნილნი

ბონი, 15 აგვისტო. (საკდესი). როგორც დასავლეთ გერმანიის პრესა იუწყება, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან კენიაში გაეგზავნა დასავლეთ გერმანიის „განვითარების სამსახურის“ მოხალისეთა პირველი პარტია. ეს ორგანიზაცია ამერიკის „შშვიდობის კორპუსის“ ნიმუშისამებრ შეიქმნა. „განვითარების სამსახურის“ ხელმძღვანელებს თავი ისე უჭირავთ, თითქოს ამ ორგანიზაციის საქმიანობა „წმინდა ჰუმანისტური“ ხასიათის იყოს, სინამდვილეში კი იგი აქტიურად უწყობს ხელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნეოკოლონიალისტურ დამკვიდრებას განვითარებად სახელმწიფოებში. ახლა „განვითარების სამსახურის“ ასობით თანამშრომელი საქმიანობს აზიის, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის სხვადასხვა ქვეყანაში. ბონი ყოველნაირად ცდილობს განამტკიცოს თავისი ეკონომიური და პოლიტიკური გავლენა განვითარებად ქვეყნებზე, აგრეთვე ხელი შეუშალოს მათი ურთიერთობის ნორმალიზაციას.

ფილიპინელ ფეოდალთა აკრძალულია

პარიზი, 13 აგვისტო. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს კორესპონდენტი პნომ-პენიდან იუწყება, კამბოჯის სახელმწიფოს მეთაურმა ნოროდომ სიანუკმა უარი უთხრა ამერიკის განსაკუთრებულ დავალებათა ელჩს ა. ჰარიმანს კამბოჯაში შესვლაზე.

სიანუკის გადაწყვეტილება იმითაა გამოწვეული, რომ შეერთებულმა შტატებმა ბოდიში არ მოუხადეს უშუალოდ კამბოჯის მთავრობას კამბოჯის სასაზღვრო სოფლის თხულოკ ტრაის დაბომბვის გამო.

გარდა ამისა განაცხადა სიანუკმა, შეერთებული შტატები უკვე რამდენიმე წელია სარგებლობენ სამხრეთ ვიეტნამის ახლად შედგენილი რეჟიმით, რომლებზეც სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიას მიაკუთვნეს კამბოჯის რამდენიმე სანაპირო კუნძული, რომლებსაც სამხრეთ ვიეტნამი ინერმებს და რამდენიმე სასაზღვრო სოფელი, რომლებიც კამბოჯის ადმინისტრაციას ემეუფლებიან.

ნ. სიანუკმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისა და კამბოჯის მოლაპარაკება შეუძლებელია მანამდე, სანამ შეერთებული შტატები ბოდიშს არ მოუხდიან უშუალოდ კამბოჯას და სანამ ისინი არ ცნობენ კამბოჯის სუვერენიტეტს სასაზღვრო სოფლებისა და სანაპირო კუნძულების მიმართ, რომლებსაც საქმე ეხებოდა.

სენატორ მორზეს განცხადება

ვაშინგტონი, 13 აგვისტო. (საკდესი). სენატორმა უ. მორზემ (დემოკრატმა ორეგონის შტატისაგან) გუშინ სენატში განაცხადა, რომ ჯონსონის მთავრობა ამზადებს ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივ აზრს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამერიკის ჯარების რაოდენობის მნიშვნელოვანი გადიდებისათვის. მან დაგმო ამერიკის შეერთებული შტატების ომი ვიეტნამში, რომელსაც ამორალური ომი უწოდა.

„ჩვენი მოქმედება მოწმობს ამორალობას, და მთელმა აზიამ, მთელმა ევროპამ იცის ეს ამბავი“, — თქვა მორზემ.

ორი ხალხის შეთანხმება

ტოკიო, 15 აგვისტო. (საკდესი). გუშინ საღამოს აქ ხელი მოაწერეს „ორი ხალხის ხელშეკრულებას“, რომაც დამთავრდა ვიეტნამის მშვიდობისათვის იაპონელ და ამერიკელ მებრძოლთა ოთხი დღის კონფერენციას. კონფერენციაში მონაწილეობდნენ მშვიდობისათვის თვალსაჩინო მებრძოლნი — იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების პაციფისტურ ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

კონფერენციას მეთვალყურეობდა ესწრებოდნენ საბჭოთა კავშირის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და მეოცე იაპონიისა და ამერიკის „ორი ხალხის ხელშეკრულების“ პროექტი, რომელიც უნდა დაედოს იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობისმოყვარე საზოგადოებრიობას იაპონია-ამერიკის „უშიშროების ხელშეკრულების“ საპირისპიროდ.

კონფერენციის დელეგატებმა გადაწყვიტეს ორივე ქვეყანაში გაიმართოს ფართო მოძრაობა, რომ შეაგროვონ ხელმოწერა „ორი ხალხის ხელშეკრულების“ ტექსტისათვის. ტექსტში ნათქვამია, რომ იაპონიისა და ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქენი გმობენ სისხლისღვრას ვიეტნამში. დღეს და ეახლოეს დღეებში ტოკიოსა და იაპონიის სხვა დიდ ქალაქებში იაპონიის „ვიეტნამის მშვიდობის“ კომიტეტის ინიციატივით მოეწყობა საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ.

